ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2752747

ნომერი: AR1423707

თარიღი : 18.07.2016

გაცემის თარიღი : 01.08.2016

გაცნობის თარიღი : 02.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 19 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია პაპალაშვილი პ/ნ 01011026156
- ქ. თბილისი, გუთნის ქ. #20

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "პრესტიჟი" კოდი: 205038252

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის სარეკლამო აბრის განთავსების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, პეკინის გამზირი, N 19-ში, შპს „XXI საუკუნე“ -ს საკუთრებაში არსებული შპს „პრესტიჟი“-ს მიერ იჯარით აღებულ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახოციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „XXI საუკუნე“ საკუთრებაში არსებული შპს „პრესტიჟი“-ს მიერ იჯარით აღებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016464433 25/07/2016 წ., საკადასტრო კოდი N 01.10.13.019.005.01.501; ასევე წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულება, არსებული სიტუაციის ფოტომასალა და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი -საბურთალო, პეკინის გამზირი, N 19-ში, შპს „XXI საუკუნე“ -ს საკუთრებაში არსებული შპს „პრესტიჟი“-ს მიერ იჯარით აღებულ ფართის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსების შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.